საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

19/08/2025

MES 9 25 0000997381

გადაწყვეტილება

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 27 აპრილის №447250 (ცვლილება ბრძანებაში №604173, 30/05/2025) ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო, სპეციალური მასწავლებელის მომზადების, მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ისტორია, სამოქალაქო განათლება) და მასწავლებლის მომზადების (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, კომპიუტერული ტექნოლოგიები) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) საბჭომ 1.5 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

„სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სრულად გადაიხედოს სილაბუსები, რათა თითოეულ მათგანში აისახოს კურსის შინაარსის შესახებ დეტალური და კონკრეტული ინფორმაცია.“

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულს არ გამოუწვევია სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ბ) საბჭომ 4.5 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

„სასურველია, ბიუჯეტი ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობის შემცირების რისკებს, იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა გამოითვალოს გადინება და შემოსავლების შემცირება.“

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულს არ გამოუწვევია სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „პროფესიული და უწყვეტი განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო, სპეციალური მასწავლებელის მომზადების, მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ისტორია, სამოქალაქო განათლება) და მასწავლებლის მომზადების (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, კომპიუტერული ტექნოლოგიები) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 19 აგვისტოს №999298 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის შინაარსში გათვალისწინებული იყოს ტურინის პროცესთან და კოპენჰაგენის პროცესთან დაკავშირებული თემები, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სისტემისთვის და ქმნიან პროფესიულ განათლებაში თანამშრომლობის საფუძველს და სამართლებრივ ჩარჩოს. ასევე, პროგრამა უნდა მოიცავდეს ზოგადი განათლების სისტემასთან დაკავშირებულ თემებს, ვინაიდან სკოლებს აქვთ უფლება განახორციელონ პროფესიული პროგრამები და წარმოადგენენ პროფესიული განათლების მიმწოდებლებს;
- რეკომენდებულია, განახლდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი და დაემატოს პროფესიული განათლების სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები, ხოლო რამოდენიმე მათგანი, რომელიც ამჟამად მითითებულია დამხმარე ლიტერატურის სიაში გადატანილ უნდა იქნეს ძირითად ლიტერატურაში.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 05 აგვისტოდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
შეფასებასმეღის
ელექტრონული